სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

36936885037423

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231783575

რეგისტრაციის თარიღი

29.12.2023 წ

ნოტარიუსი: ლალი გზირიშვილი
მისამართი: თბილისი, პეკინის გამზირი 23. ბინა 47
ტელეფონი: 236 99 99

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა დეკემბერს, მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს, სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. 23, ბ. 47, მომმართა **რამაზ ჭიღლაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს ,,Medicare Georgia"-ს **(ს/ნ404396765**, რეგ. თარიღი:16/03/2011, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ე. ნინოშვილის ქ., N 13) დირექტორი და მისთვის როგორც შპს ,,Medicare Georgia"-ს დირექტორისათვის არ არსებობს წინამდებარე მინდობილობის გაცემის ხელისშემშლელი არანაირი გარემოება და მოითხოვა მის მიერ გაცხადებული შინაარსით მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **რამაზ ჭიღლაძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **რამაზ ჭიღლაძემ** (დაბადებული 19.01.1967წ ჭიათურაში, რეგ თბილისი ეგნატე ნინოშვილის ქ. N 13 ბ. 14, პირადი #01030041525, პ/სერია 13IE16844, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 02.04.2014წ მოქმედების ვადა 02.04.2024წ) მომმართა. შევამოწმე **რამაზ ჭიღლაძის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი უფლებამოსილია იმოქმედოს როგორც შპს ,,Medicare Georgia"-ს დირექტორმა, თანახმად ამონაწერისა გაცემული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: ამონაწერის მომზადების თარიღი: B23181636, 05/12/2023 15:06:51 და შპს ,,Medicare Georgia"-ს სადაფმუძნებლო შეთანხმებისა დამოწმებული 24.10.2023წ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე **რამაზ ჭიღლაძის** ნების გამოვლენის ნამდვილობა რის შემდეგ მის მიერ გაცხადებული შინაარსის გათვალისწინებით შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე **რამაზ ჭიღლაძეს** განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **რამაზ ჭიღლაძე** (პირადი #01030041525) როგორც შპს ,,Medicare Georgia"-ს(**ს/ნ404396765**) დირექტორი ვენდობი ქეთევან ახვლედიანს (დაბადებული 12.12.1986წ თბილისში, ქალაქი თბილისი, ალეკო შენგელიას ქუჩა, N 5, პირადი ნომერი 01018005784) მასზედ რათა მან წარმომადგინოს მე, როგორც შპს ,,Medicare Georgia"-ს(**ს/ნ404396765**) დირექტორი ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის თბილისის არქიტექტურულ სამსახურში, ასევე იურიდიულ პირებთან (მათ შორის სს „თელასში“, შპს „თელმიკოში“, სს „თბილისი ენერჯიში“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, სს „სილქნეტში“, შპს „მაგთიკომში“ და სხვა ნებისმიერ სერვისის, მათ შორის კომუნალური სერვისის მომწოდებელთან) და ფიზიკურ პირებთან (მათ შორის ნებისმიერი მომსახურების მომწოდებელთან, ნებისმიერ დაცვის სამსახურებთან) ურთიერთობაში, რაც დაკავშირებულია შპს ,,Medicare Georgia"-ს(**ს/ნ404396765**) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.14.05.008.013., მისამართი ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას #16) არქიტექტურულ პროექტში ან/და სტატუსში ცვლილებების შეტანასთან, სარემონტო სამუშაოებთან ან/და აბონირებასთან ან/და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მომსახურებასთან, მათ შორის პროექტის შედგენასთან, სამუშაოების შესრულებასთან და სხვა.

ამ მიზნით უფლებამოსილია შპს ,,Medicare Georgia"-ს(**ს/ნ404396765**) დირექტორის სახელით დადოს და ხელი მოწეროს შესაბამის გარიგებებს, შეიტანოს მათში ცვლილებები ან შეწყვიტოს ასეთი გარიგებები. შეიტანოს განაცხადი, განცხადება, წარადგინოს დოკუმენტაცია, მოითხოვოს დოკუმენტაციის გაცნობა, გადაიღოს ასლები, ხელი მოწეროს მიღება-ჩაბარების აქტებს, შეასრულოს წინამდებარე მინდობილობით მითითებული ყველა მოქმედება ელექტრონული სახით (ასეთი საჭიროების შემთხვევაში), გადაიხადოს ნებართვის საფასური, მოსაკრებელი, მომსახურების ღირებულება ან სხვა ნებისმიერ გადასახდელი, მოითხოვოს დოკუმენტაციის ჩაბარება.

მინდობილობა გაცემულია 2035 (ორი ათას ოცდათხუთმეტი) წლის 01 (პირველი) მარტამდე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგანაც ორი გადაეცა მარწმუნებელს. ხოლო ერთი ინახება ნოტარიუს, ლალი გზირიშვილის სანოტარო არქივში და ერთვის შპს ,,Medicare Georgia"-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მომზადების თარიღი: B23181636, 05/12/2023 15:06:51 , ხოლო შპს ,,Medicare Georgia"-ს წესდება გადამოწმებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებული ხელმისაწვდომი სკანირებული რედაქციის მიხედვით.

გადახდილია სახელმწიფო: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა 30 (ოცდაათი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა დ.ღ.გ 18% 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი), საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 5(ხუთი) ლარი, სულ 40 (ორმოცი) ლარი და 40 (ორმოცი) თეთრი.

ნოტარიუსი: ლალი გზირიშვილი